ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 16 ოქტომბერი, 2019 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: ლიბერალური აკადემია - თბილისის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
3. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
4. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
6. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართელოსთვის
7. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
8. თამარ გაბისონია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
9. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“

განსახილველი საკითხები:

√ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის რიგით მე-10 საერთო კრების შეჯამება

- √ პლატფორმის საქმიანობის სამომავლო გეგმებისა განსაზღვრა
- √ ეროვნული პლატფორმის შიდა რეგრანტინგი
- √ სექტორული შეხვედრები
- √ საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების დამტკიცება
- √ და სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ლაშა ტუღუშმა. მან საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

თავდაპირველად, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა საერთო კრება, რომელზეც არჩეულ იქნა ახალი საკოორდინაციო საბჭო, ასევე დამტკიცდა წესდებისა და ეთიკის კოდექსის ცვლილებების პროექტები, რომელსაც კენჭი ეყარა საერთო კრებაზე.

საერთო კრებაზე ასევე მოხდა დავების განმხილველი ორგანოს წევრების არჩევა.

თავდაპირველად, საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა ერთმანეთს წარუდგინეს თავიანთი თავი, ასევე ისაუბრეს თავიანთი საქმიანობის შესახებ, მოკლედ ჩამოაყალიებს ის პრინციპები, ამოცანები და მიზნები, რომელთა განხორციელებაც და მიღწევაც მათ სურთ პლატფორმის საქმიანობის ფარგლებში.

საკოორდინაციო საბჭოს წევრმა, მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, მურმან მარგველაშვილმა, ისაუბრა იმ ხედვებზე, რომელიც მისი აზრით პლატფორმას გახდის მეტად ქმედითს და შედეგის მომტანს. ასევე მისი მხრიდან მოხდა იმ კონკრეტული პრობლემების ჩამოყალიბება, რომელიც პლატფორმის საქმიანობას და სრულყოფილ ფუნქციობას ვერ უზრუნველყოფს. მურმან მარგველაშვილი საკოორდინაციო საბჭოს შესთავაზა, რომ ჩამოყალიბდეს ეროვნული პლატფორმის 5 პუნქტიანი გეგმა, რომელიც მოიცავს იმ ძირითად მიმართულებებს, რომელთა განვითარებაც იქნება ამ საბჭოს ამოცანა.

პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის, მაკა ჯახუას ინიციატივით, გამიყოფა ერთი დღე, რომელიც სრულად დაეთმობა, სამდივნოსთან ერთად, იმ ტექნიკური საკითხებს, რომლებიც უკავშირდება პლატფორმის საქმიანობას.

მნიშვნელოვანია როგორც პლატფორმის ერთიანი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება, ისე ყველა სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის შემუშავება. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ჯგუფემბა სამოქმედო გეგმები უნდა შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1 თვის განმავლობაში.

პროექტის მმართველი გუნდის მიერ შემუშავდა თვითშეფასების კითხვარი, რომელიც უნდა გადაეგზავნოს პლატფორმის ყველა წევრ ორგანიზაციას შესავსებად. სანამ აღნიშნული კითხვარის გადაგზავნა მოხდება, მანამდე საბჭო გადახედავს თვითშეფასების კითხვარს და მათი დასტურის შემდეგ მოხდება თვითშეფასების კითხვარის გაგზავნა პლატფორმაში.

მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია პლატფორმის მიერ ქვეგრანტების გაცემის შესახებ, რომელიც მიმდინარე წელს უნდა განხორციელდეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომზადებულია დებულება ქვეგრანტების გაცემის წესის შესახებ, რომელიც გადაეგზავნება განახლებულ საკოორდინაციო საბჭოს, და მათ მიერ დებულების დამტკიცების შემდეგ მოხდება აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროება.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ მმართველი კომიტეტის ახალ შემადგენლობას გააცნო სამდივნო ორგანიზაციის მოქმედი თანამშრომელბი, რომლებიც უზრუნველყოფენ პროექტის განხორციელებას.

წესდების თანახმად, მმართველი კომიტეტის შესხვედრაზე, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ უნდა დაასახელოს მოადგილეები. საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, დასახელდა პირველი ჯგუფის კოორდინატორი, სულხან სალაძე, ხოლო მეორე მოადგილის დასახელება ამ ეტაპზე არ მოხდა.

შეხვედრის დასასრულს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, მადლობა გადაუხადა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს შეხვედრაზე მონაწილეობისთვის, ასევე აქტიური ჩართულობისა და თავიანთი მოსაზრებებისა და ხედვების დაფიქსირებისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე